გაეცანით გეოგრაფიულ ტექსტს და შეასრულეთ დავალებები:

საჰელი

სიტყვა საჰელი არაბული ენიდან თარგმანში „ნაპირს“, „საზღვარს“ ან „სანაპიროს „ ნიშნავს და მიანიშნებს საჰელის მცენარეულობაზე, რომელიც საჰარის ქვიშის სანაპიროებს ემიჯნება.

საჰელი ტროპიკული სავანაა აფრიკაში, რომელიც თავისებურ გამყოფ ზოლს წარმოადგენდა ჩრდილოეთით საჰარასა და სამხრეთით ნახევრადმშრალ სავანას შორის. საჰელი ეკოკლიმატური და ბიოგეოგრაფიული გარდამავალი ზონაა საჰარის უდაბნოსა (ჩრდილოეთით) და სუდანის სავანას შორის (სამხრეთით).
საჰელი ატლანტის ოკეანიდან წითელ ზღვამდე 5 400 კმ-ზეა გადაჭიმული, სიგანეშიც ასევე რამდენიმე ათასი კმ-ია, მთლიანი ფართობი კი 3 053 200 კმ²-ს შეადგენს.

ნახ. N1 საჰელის რეგიონი აფრიკაში

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

რეგიონი ნახევრად მშრალი საძოვრების, სავანის, სტეპებისა და ეკლიანი ბუჩქნარის გარდამავალ ეკორეგიონს წარმოადგენს.
საჰელში ტროპიკული და ცხელი კლიმატია, რომელიც ნალექებისა და ტემპერტურების ძლიერი სეზონური ცვლილებებით ხასიათდება. რეგიონი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ტერიტორიაა. ზამთრის განმავლობაში საჰარის ცხელი და მშრალი ქარი სამუმი ნამდვილ ქვიშიან შტორმებს ქმნის.
დაახლოებით, 12 000 წლის წინ საჰელი საჰარის ნაწილი იყო და დიუნებით იყო დაფარული, რომლებმაც ჩამოაყალიბეს კიდეც თანამედროვე ლანდშაფტი. ჩვენს წელთაღიცხვამდე X—III ათასწლეულში საჰელი ლამის ხმელთაშუა ზღვამდე იყო გადაჭიმული და ძალიან მდიდარი ფლორითა და ფაუნით გამოირჩეოდა, მათ შორის, აქ მობინადრე მრავალრიცხოვანი ჰომინიდებით.

ნახ.N2 საჰელის ლანდშაფტი

XX საუკუნეში საჰელში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გაუდაბნოების პროცესი. რეგიონში ყველაზე მწვავე პრობლემები ნიადაგისა და წყლის უკმარისობაა. ნიადაგები საჰელში ძირითადად ქვიშიანი და მჟავიანია, ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავს აზოტსა და ფოსფატებს. ნიადაგი ძალაინ ფხვიერია, რის გამოც წვიმის შემდეგ სწრაფად შრება.

ნახ.N3 გაუდაბნოებას საჰელში ნაყოფიერი ნიადაგების ფართობების შემცირება და დეგრადაცია მოჰყვა.

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

საჰელის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტრადიციულად ნახევარდ მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, ამიტომაც აქ სოფლის მეურნეობაც „გადაადგილებადი“, „მიგრაციული“ ხასიათის იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ასეთი ცხოვრების წესი და მეურნეობის ტიპი წარმაოდგენს რეგიონის პირობებში ყველაზე ხელსაყრელ და მისაღებ ხერხს.

ნახ.N4 მწყემსები საჰელში

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

საჰელის ჩრდილეოთით კლიმატი შედარებით მშრალია მაგრამ აქ უფრო მაღალია საკვები ნივთიერებების დონე ნიადაგაში, მაშინ როცა სამხრეთში ნალექების რაოდენობა უფორ მეტია. სწორედ ამ განსხვავებას იყენებენ მომთაბრეები: ტენიანი სეზონის განმავლობაში ისინი საქონელსა და ფარას ჩრდილოეთის ნაყოფიერ ნიადაგებზე აძოვებენ, ხოლო ჩრდილოეთში დამდგარი მშრალი სეზონის გამო ისინი რამდენიმე ასეულ კილომეტრს გადიან სამხრეთისკენ, სადაც შედარებით ტენიან ტერიტორიებია. მომთაბარე მწყემსებს შორის ხშირად ხდებოდა კონფლიქტები საჰელის შედარებით ხელსაყრელი პირობების მქონე ტერიტორიების გამო.

დამატებითი ინფორმაცია:

მომთაბარეობის რამდენიმე კლასიფკაცია არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებლულია მომთაბარე მეცხოველეობა, რომელიც მეცხოველეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ცხოველები მთელი წლის განმავლობაში ან წლის უმეტეს დროს ერთი სეზონური საძოვრებიდან მეორეზე გადაჰყავთ იმ პერიოდში, როდესაც ამ სავარგულზე უხვი და ყუათიანი საკვებია. მომთაბარე მეცხოველეობა განსაკუთრებით ხელსაყრელია მთაგორიან ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი სავარგულები წლის სხვადასხვა დროს შეიძლება რაციონალურად გამოვიყენოთ.

მომთაბარე მეცხოველეობა მკვეთრად განსხვავდება მოხეტიალე (ქოჩადმავლური) მეცხოველეობისაგან, რომლის დროსაც მოსახლეობას არ აქვს ძირითადი სადგომი თავისი განვითარებული მიწათმოქმედებით, მრეწველობით და ცხოველებთან ერთად მთელი ოჯახები იცვლიან ბინას.

მომთაბარე მეცხოველეობა განსხვავდება სტაციონარულ მეურნეობაში ცხოველების მთელი წლის განმავლობაში საძოვრული შენახვისაგანაც, როდესაც მხოლოდ საძოვრების მონაცვლება ხდება ერთსა და იმავე ტერიტორიაზე.
მომთაბარე მეცხოველეობის სისტემა ითვალისწინებს ცხვრის, თხის, ღორის, ძროხის შენახვას.
მომთაბარე მეცხოველეობის ეკონომიკური მნიშვნელობა დიდია, რადგან ამ სისტემის გამოყენებით მკვეთრად მცირდება ხარჯები საკვების დამზადებაზე, შრომაზე, რაც საგრძნობლად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, თავისუფლდება ბევრი სახნავი ფართობი მეურნეობის ძირითად ტერიტორიაზე სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებისათვის.

© საავტორო უფლება დაცულია

დავალებები:

I. მოხაზეთ სწორი პასუხი:

1. რა არის საჰელი:
   ა) უდაბნოს სახელი აფრიკაში;
   ბ) გარადმავალი ზონა ჩრდილოეთ აფრიკაში უდაბნოსა და სავანას შორის;
   გ) აფრიკული სავანა;
   დ) საჰარის უდაბნოს სამხრეთი ნაწილი.

2. საჰელის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემაა;
   ა) კლიმატის ცვლილება ტერიტორიაზე;
   ბ) ტერიტორისს ფართობის შემცირება;
   გ) ნიადაგისა და წყლის უკმარისობა;
   დ) ნიადაგები ძალიან ფოროვანი.

3. საჰელის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა:
   ა) მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და მებაღეობა;
   ბ) მიწათმოქმედება და მეცხოველეობა;
   გ) მეცხოველეობა და მებაღეობა;
   დ) მეცხოველეობა;

4. როგორი კლიმატია დამახასიათებელი საჰელის ზონისთვის?
   ა) ტროპიკული ტყენიანი;
   ბ) ტროპიკული უდაბნოს;
   გ) ტროპიკული ტემპერატურისა და და ნალექების ძლიერი სეზონური ცვლილებით;
   დ) სუბეკვატორული.

II. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

5. რა ცვლილებები მოხდა საჰელის ბუნებაში მე-20 საუკუნეში?

---

6. კლიმატისა და ნიადაგის რა თავისებურებები უშლის ხელს მიწათმოქმედების განვითარებას საჰელის ზონაში თანამედროვე პირობებში?

   ---

7. ნახ. N1-ისა და აფრიკის პოლტიკური რუკის მიხედვით დაასახელეთ 10 აფრიკული სახელმწიფო, რომელიც საჰელის ზონაში მდებარეობს.

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

---

8. კლიმატური რუკის გამოყენებით დაასახელეთ ორი მიზეზი, რის გამოც საჰელის ჩრდილოეთ რაიონებში ზამთარში ქრის ცხელი და მშრალი ქარები.

---

9. ახსენით რატომაა საჰელის რეგიონში ნახევრად მომთაბარე (მოხეტიალე, ქოჩადმავლური) მესაქონლეობა შედარებით ეფექტური ვიდრე სტაციონალური ან მომთაბარე მეცხოველეობა.

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია